კლუბის სახელწოდება - ცეკვის კლუბი

სამიზნე ჯგუფი-თანამედროვე განათლების აკადემიის I-VI კლასები

კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია - ინგა ყაველაშვილი - - ikavelashvili@yahoo.co.uk

კლუბის გაკვეთილების რაოდენობა - კვირაში ორჯერ

თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა - 50 წუთი

კლუბში გაწევრიანების წინაპირობა - *მოსწავლის დაინტერესება და ასაკის შესაბამისობა.*

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა - მინიმუმი-15, მაქსიმუმი - 20 მსურველი

კლუბის მიზანი -

- ხელი შეეწყოს ცეკვის ხელოვნების პოპულარიზაციას;
- ცეკვა, როგორც ფიზიკური აქტივობა, ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის გამომუშავებას მოსწავლეებში;
- ცეკვის სისტემატური გაკვეთილები ხელს შეუწყობს სხეულის სწორად ტარებას, დახვეწილ მანერებს;
- მოსწავლეებში გაზარდოს თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, პასუხისმგებლობა;
- ცეკვის სისტემატური გაკვეთილები ხელს შეუწყობს სხეულის გამძლეობას, ამტანობას და ამავდროულად, მას უადვილდება სხვა ფიზიკურ დატვირთვებთან დაკავშირებული აქტივობების ათვისება;
- ჩამოაყალიბოს შემოქმედებით პიროვნებებად;

- ხელი შეუწყოს სცენური უნარების ჩამოყალიბებას, მუშაობას მაყურებელთან, ცეკვის პროცესში მოცეკვავეების აღქმა–გათვალისწინებას (დისტანცია, ხაზების დაცვა...);
- ცეკვის თეორიული გაკვეთილები მოსწავლეებს აცნობს ცეკვის ისტორიას, მის წარმომავლობას, თავისებურებებს კუთხეებს შორის: მუსიკა, საცეკვაო პლასტიკა, ხასიათი, კოსტუმები და ა.შ.
- გაზარდოს მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართულობა.
- ხელი შეუწყოს მუსიკის, სხვადასხვა რიტმის აღქმას და საცეკვაო მოძრაობების მუსიკასთან შეთავსებას;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეების მოქნილობასა და ელასტიურობას;
- ხელი შეუწყოს სხეულის ფლობის ცოდნას (მისი კიდურების და სხეულის ურთიერთთანაფარდობას);
- მოსწავლეებში წარმოსახვის და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარებას;
- მოსწავლეებში თავდაჯერებულობის გაზრდას და თვითშეფასების ამაღლებას;
- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობის გამომუშავებას;

ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები -

მოსწავლეები შეისწავლიან როგორც ქართული, ასევე უცხოურ მუსიკაზე დადგმულ ცეკვებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ მუსიკალური მელოდიების თავისებურებებით, არამედ, ტემპით, ხასიათით და საცეკვაო ლექსიკით. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს ექმნებათ საშუალება წარმოდგენილი მრავალფეროვანი მელოდიების ხარჯზე, გაამდიდრონ თავიანთი საცეკვაო ლექსიკა.

გაკვეთილის პროცესში, ე.წ. მასწავლებლობანას თამაშის დროს, თითოეული მოსწავლე ხდება მოკლე დროით მასწავლებელი და მისი სურვილისამებრ მუსიკის თანხლებით თხზავს სხვადასხვა მოძრაობებს და ამ ცეკვას სთავაზობს დანარჩენ მოსწავლეებს. ამ შემთხვევაში ის (როგორც მასწავლებელი) სწავლობს მოუსმინონ თავიანთ შინაგან სამყაროს, ჩაუკვირდნენ მუსიკას და მასზე დაყრდნობით შექმნან საცეკვაო მოძრაობა. ასეთი ვარჯიშები თუ თამაშები ხელს უწყობს საკუთარი ინდივიდუალურობის გამოხატვას, მათში არსებული ფარული მონაცემების დახვეწას და ლიდერობის უნარების გამომუშავებას. დანარჩენები (როგორც მოსწავლეები) ეჩვევიან ერთმანეთის პატივისცემას და მისი თანატოლების მიერ გამოგონილი

მოძრაობების გამეორებას, რომელიც ხშირად ძალიან სახალისო თამაშს ემსგავსებახოლმე.

კონცერტებში მონაწილეობა მოსწავლეებისთვის დიდი გამოწვევაა, რადგან ისინი სწავლობენ სცენური შიშის დაძლევას, ემოციების მართვას, მაყურებელთან კომუნიკაციას, თავიანთი შრომის დაფასებას და მაყურებლების მხრიდან პოზიტიური ენერგიის მიღებას, რომელიც მათ კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევს მომავალი წარმატებისთვის.

ცეკვა, როგორც სინთეზური ხელოვნება, მისი არსებობისთვის აერთიანებს ხელოვნების სხვა დარგებს: მუსიკა, ლიტერატურა, კინო, თეატრი და მხატვრობა. შესაბამისად, მოსწავლე, რომელიც უკვე სცენაზე დგას, მას მეტნაკლებად უკვე უწევს შეხება, ხელოვნების ზემოთჩამოთვლილ დარგებთან.

ძირითადი რესურსები - სათანადო სივრცე გაკვეთილის სრულყოფილად წარმართვისთვის, მაგნიტაფონი

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა) -

ცეკვის კლუბი მონაწილეობას მიიღებს საახალწლო კონცერტზე, სკოლის საიუბილეო კონცერტზე და სიამოვნებით ჩაერთვება სხვა გამოწვევებში, სადაც საშუალება იქნება ცეკვის წარმოდგენა.

კლუბის ხელმძღვანელის მოკლე რეზიუმე -ინგა ყაველაშვილმა 2004 წელს დაამთავრა თბილისის კულტურის და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესიით - ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი.

მას შემდეგ იმუშავა სხვადასხვა ორგანიზაციებში, ბაღებში... კერძოდ - ქართული ცეკვის ანსამბლი ,,შევარდენი'', საკუთარი საბავშო საცეკვაო სტუდია და მოყვარულთა წრე, ლონდონში.საბავშო სატელევიზიო სტუდია ,,ენკი ბენკი''

,,ახალი ბაღი'' ვაკის პარკში, „ნათელი მომავალი'' კერძო ბაღი, ,, თანამედროვე განათლების აკადემია''.

ინგა ყაველაშვილი აქტიურად არის დაკავებული სხვა ცეკვების შესწავლით - ,,ჰიპ ჰოპი'', ,,მოდერნი ბალეტი'', ,,სალსა'', ,,ბაჩატა''.. ასევე მონაწილეობას იღებს და დამატებით ცოდნას იძენს სხვადასხვა ცეკვის მასტერკლასევში, სადაც ცოდნას იძენს თანამედროვე მიდგომების შესახებ. ეს მიდგომები არის საინტერესო როგორც თავად ცეკვის დადგმასთან დაკავშირებით, ასევე იმითაც თუ როგორ შეიძლება იყოს საცეკვაო გარემო ადაპტირებული განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის.